დამკვეთის მონაცემები: გოეთე ინსტიტუტის ფილიალი საქართველოში ადმინისტრაციის განყოფილება ზანდუკელის ქ.16 0108 თბილისი, საქართველო	პასუხისმგებელი პირი: სოფიო მდივნიშვილი-გრიზე ტელ.: +995 -2938945 (701) ელ-ფოსტა: Sophia.Mdivnishvili-Griese@goethe.de

გოეთეს ინსტიტუტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელს მსოფლიოში მოქმედი კულტურის ინსტიტუტია, რომელიც ხელს უწყობს გერმანული ენის შესწავლას და საერთაშორისო კულტურულ თანამშრომლობას.

ტენდერის მიზანი: მაღალი ხარისხის შემდეგი ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა

1. დინამიკი (2ცალი)- შესაძლებელი უნდა იყოს კედელზე დამაგრება. დაახლოებით 300 ვატი
2. გამაძლიერებელი - ტექნიკური მაჩვენებლები: 7x1500W. 20-20000Hz

ძირითადი წესები:

სატენდერო დოკუმენტები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ამ ტენდერის კონტექსტში. დაუშვებელია სატენდერო დოკუმენტების (მათ შორის ამონარიდების) გამოქვეყნება ან მესამე პირისთვის გადაგზავნა შესაბამისი უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე.

ყველა განმცხადებელი ინფორმირებული იქნება სატენდერო განცხადებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის ან შესწორების დამატების შემთხვევაში.

სატენდერო შეთავაზების მომზადების პირობები:

1. **შეთავაზების ფორმა**

სატენდერო შეთავაზება დანართებთან ერთად უნდა მომზადდეს ქართულ ენაზე და გაგზავნილ იქნეს ელექტრონულად PDF ფაილის სახით ელექტრონული ფოსტის მისამართზე: ausschreibung-tbilissi@goethe.de

მეილით გაგზავნილი შეთავაზების შემთხვევაში, გარანტირებულია, რომ ისინი გაიხსნება მხოლოდ დედლაინის ვადის გასვლის შემდეგ.

ცვლილებები და დამატებები სატენდერო შეთავაზებაზე და დანართებზე არ არის ნებადართული და გამოიწვევს ტენდერში მონაწილეობიდან გამოთიშვას.

2. ვადები

სრულყოფილი სატენდერო შეთავაზება გაგზავნილ უნდა იქნეს არაუგვიანეს **2024 წლის 24 ნოემბრის 23:59 საათამდე pdf-ფაილის სახით რომელიც იქნება pdf-„პაროლით“ დაცული. ტენდერის საბუთების მიღების ვადის გასვლის შემდეგ მეორე დღეს პაროლი უნდა გამოიგზავნოს იმავე მეილის მისამართზე ცალკე მეილის სახით.**

გვიან მიღებული დოკუმენტები არ განიხილება სანამ განმცხადებელი არ დაასაბუთებს, რომ დაგვიანება მისი კონტროლის მიღმა იყო.

შერჩეული კანდიდატის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება და დანარჩენი კანდიდატები ინფორმირებული იქნებიან არაუგვიანეს **2024 წლის 26 ნოემბრის** ჩათვლით.

დაუშვებელია ხელშეკრულების პირობების შეცვლა და შესწორება. ასეთი ცვლილებების დამატება გამოიწვევს ტენდერში მონაწილეობიდან გამოთიშვას.

დაუშვებელია მეორადი სატენდერო შეთავაზებები.

სატენდერო შეთავაზება უნდა მომზადდეს სრულყოფილი სახით შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

- **ფასების კალკულაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ლარში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახდის ჩათვლით, ფირმის დასახელებისა და საიდენტიფიკაციო ნომრის მითითებით.**

სატენდერო შეთავაზება უნდა იყოს სრულყოფილი, მოიცავდეს ფასს და ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. არასრულყოფილი სახით წარმოდგენილმა ინფორმაციამ შესაძლოა, გამოიწვიოს ტენდერიდან გამოთიშვა.

3. სატენდერო შეთავაზების შესწორება, ცვლილება ან უკან გატანა

შესაძლებელია სატენდერო შეთავაზების უკან გატანა დედლაინის ვადის გასვლამდე წერილობითი ფორმით/ელ-ფოსტის საშუალებით შეტყობინების საფუძველზე.

4. ტენდერის პროცედურა

ტენდერის გამომცხადებელი განიხილავს შემოსულ სატენდერო შეთავაზებებს და დაამუშავებს შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით.

ხელშეკრულება გაფორმდება იმ ფირმასთან ან კერძო პირთან, რომლის შემოთავაზება ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელი იქნება გოეთეს ინსტიტუტისათვის. საბოლოო გადაწყვეტილება შეტყობინებული იქნება ელექტრონულად. ხელშეკრულება

გაფორმებული იქნება იმ პირობების შესაბამისად, რომელიც გაწერილია სატენდერო განცხადებაში.

5. შეფასება

განმცხადებლები შეფასდებიან შემდეგი სავალდებულო კრიტერიუმების საფუძველზე:

- დროული მიწოდება 13 დეკემბრამდე
- ტექნიკური მომსახურება

6. გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები/ ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელი შემოთავაზების შერჩევა

- ფასი
- ხარისხი
- გარანტია

7. განმცხადებლის კითხვები

ტენდერთან დაკავშირებული კითხვები გაგზავნილ უნდა იქნეს ელექტრონულად შემდეგ მისამართზე ausschreibung-tbilissi@goethe.de არაუგვიანეს **22.11.2024**

ტენდერის გამომცხადებელი არ უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცემას ტელეფონის საშუალებით.

8. განმცხადებლის საჩივარი

თუ განმცხადებლის აზრით, შეთავაზების დოკუმენტები შეიცავს შეცდომებს, შეუსაბამოებებს ან ტენდერის პროცედურის რაიმე რეგულაციის დარღვევას, განმცხადებელმა უნდა აცნობოს ამის თაობაზე წერილობითი ფორმით ელექტრონულად დაუყოვნებლივ და სატენდერო შეთავაზების გაგზავნამდე.

ასეთი ინფორმაცია და პროცედურული საჩივრები გაგზავნილ უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე:

გოეთე ინსტიტუტის ფილიალი საქართველოში

ადმინისტრაციის განყოფილება

ელ-ფოსტა: Ausschreibung-Tbilissi@goethe.de

9. სხვა

ტენდერში მონაწილეობისა და დოკუმენტების მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯები არ ანაზღაურდება